სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 06 აგვისტოს N173/01-01 ბრძანების საფუძველზე **აღმოსავლეთმცოდნეობის** სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის **ასოცირებული პროფესორების** აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 12 სექტემბრის N52/2025 დადგენილებით დამტკიცებული კომისიის სხდომის

№6 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"09" ოქტომბერი 2025 წ.**

15.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია №114

სხდომას ესწრებოდა აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო კომისიის 11 წევრიდან თერთმეტივე წევრი:

1. დარეჯან გარდავაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ნანი გელოვანი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. მზისა ბუსკივაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. გიორგი ლობჟანიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. დალი ჩიტუნაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. ნინო სამსონია - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. ქეთევან ლორთქიფანიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. ლეილა ბახტაძე - ფილოლოგიის დოქტორი;
9. გიორგი სორდია - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

10. პაატა ჯაფარიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

11. ზვიად ცხვედიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის **ებრაისტიკა-არამეისტიკის, არაბისტიკის, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრების** საკონკურსო ვაკანსიებზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის მომზადება და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, დარეჯან გარდავაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები, კერძოდ,

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 2 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) საბუთები შემოიტანა 2 კანდიდატმა – მამუკა ბუცხრიკიძემ და ინგა ზაბახიძემ.

არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 3 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“კატეგორია) საბუთები შემოიტანა 4 კანდიდატმა – მარიამ ნანობაშვილმა, ნინო ეჯიბაძემ, ხათუნა თუმანიშვილმა და ნინო დოლიძემ.

არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („გ“კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – მაია ანდრონიკაშვილმა.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (შორეული აღმოსავლეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის I საკონკურსო თანამდებობაზე („ა“კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – ნანა გელაშვილმა.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (თურქეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა"კატეგორია) საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა – მირიან მახარაძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კონკურსანტთა პაკეტების) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი საბუთები.

ინგა ზაბახიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოთხოვნებს";

კონკურსანტს საბაზისო განათლება მიღებული აქვს თსუ-ში საზღვარგარეთის აღმ. ქვეყნების ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობით, კვალიფიკაციით: ისტორიკოსი აღმოსავლეთმცოდნე; ისტორიის მასწავლებელი; თარჯიმანი (დიპლომის დანართი გვიჩვენებს, რომ მისი სწავლის სფერო არაბული ქვეყნების ისტორიაა); სამეცნიერო ხარისხი ასევე ისტორიაში აქვს – *ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი*, სამსახურებრივი პედაგოგიური გამოცდილება ასევე ისტორიული და იურიდიული (სამართლის) პროფილის კურსებში აქვს.
საკონკურსო განაცხადი გაკეთებული აქვს ენის დაუფლების Language Acquisition დეტალური სფეროს 0231.1.20 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი კათედრის გამოცხადებულ ვაკანსიაზე – პროგრამისა, სადაც ცოდნის შინაარსი, სწავლის მიზნები, სწავლის ინტერესის ობიექტი და სწავლა-სწავლების მეთოდები ენობრივია და მისი გადაცემა, სწავლება შესაბამის ენობრივ კომპეტენციებს მოითხოვს - ფილოლოგიურ განათლებასა და ენის სწავლა-სწავლების მეთოდების ცოდნასა და გამოყენებას.
მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან კი არაფერი ადასტურებს ებრაული ენის ფლობას, ებრაულ ენასთან დაკავშირებულ სამსახურებრივ (პედაგოგიურ თუ კვლევით) გამოცდილებას.

0231.1.20 ებრაული ფილოლოგია/ებრაისტიკა Hebrew Philology/ Hebrew ენების ვიწრო სფეროში შემავალი დეტალური სფეროს კვალიფაკაციაა, ებრაულ ფილოლოგიასა და ებრაისტიკას კლასიფიკატორში ერთიდაიგივე კოდი აქვს (0231.1.20), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კვალიფიკაციების მიმნიჭებელი პროგრამა ებრაული ენით მარკირებული პროგრამაა, ამ კვალიფიკაციების მიმნიჭებელი პროგრამების ცოდნის შინაარსი, სწავლის მიზნები, სწავლის ძირითადი ინტერესის ობიექტი და სწავლა-

სწავლების მეთოდები ფილოლოგიური შინაარსისაა, ებრაული ენის დაუფლებაზეა მიმართული, რასაც დეტალურად ცხადყოფს ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი (ბრძანება MES 0 22 0001038847 09.09.2022)

ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის დეპარტამენტი, სადაც ამ პროგრამის საღერძო საგნის – ებრაული ენისა და მასთან ისტორიულად დაკავშირებული არამეულის სპეციალისტები მუშაობენ, ფილოლოგიური განათლებითა და კვალიფიკაციით; მათი როლი ებრაისტიკის პროგრამის განხორციელებაში წამყვანია – სასპეციალიზაციო ენისა და ენობრივი დისციპლინების წაკითხვა;

რაც შეეხება აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის აღმოსავლეთის ისტორიის დეპარტამენტს, ის მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში იმ ისტორიულ-კულტურული ასპექტების ამსახველი დისციპლინების დამატებით, რომლებიც დაკავშირებულია შესასწავლ ენასთან. ამ დეპარტამენტის მიერ ხდება როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის დაკომპლექტება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამებში ისტორიულ-კულტურული პროფილის კურსების წასაკითხად (აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის შემადგენელი კათედრების მიერ საკონკურსო აკადემიური თანამდებობების გამოცხადება საკომპეტენციო სფეროების მიხედვით ამგვარად ხდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შექმნის დღიდან, 2005 წ-დან დღემდე).

კონკურსანტის 28წლიანი პედაგოგიური სტაჟი - საქართველოს ისტორიისა და სამართლის კურსების წაკითხვის, თსუ-ში ისტორიული პროფილის ორი კურსის წაკითხვის გამოცდილება და სამომავლო პერსპექტივაში შემოთავაზებული კურსების პროფილი არც ერთი არაა საკონკურსო ვაკანსიის შესაბამისი. სამომავლო პერსპექტივაში წასაკითხად შემოთავაზებული კურსების ჩამონათვალში ჩამოთვლილია სხვა კათედრების, ინსტიტუტების, თსუ სხვა ფაკულტეტის სასწავლო კურსები, მათ შორის, სწავლების განსხვავებული საფეხურიდანაც (მაგისტრატურა), რომელთაც არანაირი შეხება ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამასთან არ აქვთ. ამ ჩამოთვლილ კურსებს მათი წამკითხველი მოქმედი აკადემიური პერსონალი ჰყავს, კონკურსანტის მიერ წასაკითხად შემოთავაზებული ამ სასწავლო კურსების სიას კი არანაირი მტკიცებულება (ალტერნატიული, არსებულისგან განსხვავებული სილაბუსი) არ ახლავს, რაც დაგვარწმუნებდა, რომ კონკურსანტი უკვე არსებული სილაბუსებისგან განსხვავებულ, საყურადღებო ხედვას გვთავაზობს.

ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა, რომლის ასოცირებული პროფესორის ვაკანსიაზეც კონკურსანტი აცხადებს პრეტენზიას, ახორციელებს მხოლოდ ებრაისტიკის საბაკალავრო პროგრამას, სადოქტორო საფეხურზე კი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაში აჰყავს დოქტორანტები დარგში ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, რისთვისაც, ბუნებრივია, თავად ხელმძღვანელსაც ფილოლოგიის დოქტორის ხარისხი მოეთხოვება.

არც სამუშაო კვლევითი გამოცდილება თანხვდება ვაკანსიის პროფილს – კონკურსანტი თავის კვლევით სფეროდ მოიაზრებს ქართველი ებრაელების ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და ადგილობრივ კულტურასთან ორგანული ინტეგრაციის საკითხებს, რაც კვეთაშია კულტურის კვლევების ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკასთან, მაგრამ არა – აღმოსავლეთმცოდნეობის ს/ს ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრისა. მისი და სხვა ავტორ-შემდგენელთა კოლექტიური ნაშრომი: „ქართველთა და ებრაელთა კომუნიკაციური მეხსიერება“, რომელიც კონკურსანტის მიერ მონოგრაფიად არის სახელდებული, რეალურად, წარმოადგენს ქართველი ებრაელების მოგონებებს ქართველებსა და საქართველოზე კომუნიკაციური მეხსიერების ჭრილში. ის საკონკურსო პროფილთან არ არის კავშირში ისევე, როგორც კონკურსანტის სხვა პუბლიკაციები.

მისი ამჟამინდელი შეთავსება – ქართველ ებრაელთა კულტურის სახლის თავმჯდომარე საკონკურსო პროფილთან (უსდ-ში სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობასთან) კავშირში არაა.

შესაბამისად, კონკურსანტის შეფასების I კატეგორიაში: ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტის კვალიფიკაცია ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ის შეუსაბამოა საკონკურსო ვაკანსიასთან მიმართებით – არც მისი განათლება, არც მისი სამეცნიერო ხარისხი, არც სამსახურებრივი გამოცდილება, არც პედაგოგიური სტაჟი და არც შეთავსებით მუშაობა არ იძლევა სხვა დასკვნის გამოტანის საშუალებას.

კონკურსანტის შეფასების ფორმაში პირველი კატეგორიის მიხედვით დეტალურად ასახული შედეგები დადგა ღია კენჭისყრაზე. კენჭისყრაზე გამოტანილ კონკურსანტის შეფასებებს მხარი დაუჭირა საკონკურსო კომისიის სხდომის დამსწრე ყველა (თერთმეტივე) წევრმა.

რაკი თსუ აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, კონკურსანტის შეფასების ფორმის პირველი კატეგორიის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში კონკურსანტი

შემდგომ კატეგორიებში არ ფასდება და იხსნება კონკურსიდან, ჩატარებული კენჭისყრით ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე), კონკურსანტ ინგა ზაბახიძეს არ მიენიჭოს პრეტენდენტის სტატუსი და მოიხსნას კონკურსიდან (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

მამუკა ბუცხრიკიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) პირველ ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას)* მიიღო საშუალო და მეორე ნაწილში კი *(ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას)* კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის დღიდან კათედრისა და პროგრამის შექმნისა, ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, აქვს საავტორო სილაბუსები, არის ებრაული ენის სახელმძღვანელოს ავტორი; ხელმძღვანელობს ებრაისტიკის მოდერნიზებულ, 2023 წ. რეაკრედიტებულ პროგრამას. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისას კომისიამ გაითვალისწინა, რომ კონკურსანტის მიერ წარმოჩენილია მაღალი კლასის მთარგმნელობითი საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტები – შესრულებული სამეცნიერო, პუბლიცისტური და მხატვრული თარგმანები, მთარგმნელობითი პროფილის საერთაშორისო კონტაქტები, საერთაშორისო საგრანტო პროექტებში ჩართულობა (იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტთან, ბენ ცვის ინსტიტუტთან, გამომცემლობა „ბახურბუკს“-თან, ისრაელის ებრაული ლიტერატურის თარგმანის ინსტიტუტთან საქმიანი კონტაქტები და საგრანტო პროექტებში თანამშრომლობა),

თუმცა მეტადაა გასააქტიურებელი და წინ წამოსაწევი სამეცნიერო-კვლევითი პროფილი.

იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა და ზოგადთეორიულ ასპექტებთან ერთად მისი ენობრივი გამოყენებითი ასპექტების წინ წამოწევის აუცილებლობა. პუბლიკაციები აქვს რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ნაშრომები შესრულებულია მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

უცხოეთის საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სასპეციალიზაციო (ძველი და თანამედროვე ებრაული) და ევროპული (ინგლისური) ენის ფლობის დონით, კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო-მეთოდური საქმიანობით (ის არის ებრაული ენის სახელმძღვანელოს ავტორი) კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გამოყენებითი ასპექტების წინ წამოწევით, საკუთარი მრავალწლიანი სასწავლო და მთარგმნელობითი გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (როგორც მთარგმნელს, 2019 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს მწერალთა კავშირის კულტურის დესპანის წოდება „ალუდა ქეთელაურის" ებრაულ ენაზე თარგმნისთვის; დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა").

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის გამოცდილება. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში საჭიროა უნივერსიტეტის სამომავლო პროგრესული განვითარებისთვის. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა მამუკა ბუცხრიკიძის კანდიდატურას ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა" კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი მამუკა ბუცხრიკიძეს ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) ასარჩევად.

მარიამ ნანობაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას)* კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას აქვს თავისი შეუცვლელი „ნიშა“ ორი მიმართულებით: ზოგადსემიტოლოგიური (კითხულობს სემიტურ ენათა შესწავლის შესავალს არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამაში და სემიტურ ენათა გრამატიკას არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაში, საიდანაც აღნიშნული საგანი, მასზე მაღალი საჭიროების გამო, გატანილი აქვს შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას; არის სემიტურ ენათა შესწავლის შესავლის სახელმძღვნელოს ავტორი) და ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით (კითხულობს ამ საგანს არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაში და არის სალექციო ციკლის ავტორი), აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი პოტენციალი დინამიკაში ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის

მნიშვნელობა ორიენტალისტიკისა და ქართველოლოგიისათვის, რასაც წარმოაჩენს საერთაშორისო პუბლიკაციებში, რომლებიც დაბეჭდილი აქვს საკმაოდ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შესულია აღიარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (მათ შორის, სკოპუსში), ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

უცხოეთის საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრებთან მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სასპეციალიზაციო (არაბული და სხვა სემიტური; სპარსული) და ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული, იტალიური) ფლობის მაღალი დონით, მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, ქრისტიანულ არაბულ ტექსტებზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო პროგრესული განვითარებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა მარიამ ნანობაშვილის კანდიდატურას არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა“ კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი მარიამ ნანობაშვილს არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) ასარჩევად.

ნინო ეჯიბაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას)* კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას აქვს თავისი გამოკვეთილი პროფილი: სასპეციალიზაციო არაბულ ენასთან ერთად კითხულობს დიალექტოლოგიისა და ეგვიპტური დიალექტის კურსებს (არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამაში კითხულობს ეგვიპტური დიალექტის ელემენტარულ დაწყებით კურსს და არაბული დიალექტოლოგიისა და ეგვიპტური დიალექტის კურსს არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაში; არის პრაქტიკული არაბულის (ტექსტები, სავარჯიშოები) და ეგვიპტური დიალექტის სახელმღვანელოების, არაბული ენის აღწერითი თეორიული გრამატიკისა და ეგვიპტური დიალექტის გრამატიკის ავტორი), აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი პოტენციალი დინამიკაში ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა ორიენტალისტიკისათვის, რასაც წარმოაჩენს საერთაშორისო პუბლიკაციებში, რომლებიც დაბეჭდილი აქვს საკმაოდ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შესულია აღიარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (მათ შორის, სკოპუსში), ნაშრომები შესრულებულია მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სასპეციალიზაციო (არაბული და მისი ეგვიპტური დიალექტი) და ევროპული ენების (ინგლისური) ფლობის მაღალი დონით, მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას გამოკვეთილი აქვს საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, ეგვიპტურ დიალექტზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა").

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის გამოცდილება. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა ნინო ეჯიბაძის კანდიდატურას არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა" კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი ნინო ეჯიბაძეს არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა" კატეგორია) ასარჩევად.

ხათუნა თუმანიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის*

კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას) კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას აქვს თავისი გამოკვეთილი პროფილი: სასპეციალიზაციო არაბულ ენასთან ერთად კითხულობს პარემიოლოგიისა და სირიული დიალექტის კურსებს (არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამაში კითხულობს სირიული დიალექტის ელემენტარულ დაწყებით კურსს და არაბული პარემიოლოგიისა და სირიული ანდაზებისა და ხატოვანი გამოთქმების კურსს არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაში; არის პრაქტიკული არაბულის (ტექსტები, სავარჯიშოები) კრებულის ავტორი), აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, მათ შორის, საფაკულტეტო აღმოსავლურ ენებში რუსულად კითხულობს რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამებისთვის შესათავაზებელ არაბული ენის კურსს; კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც ფაკულტეტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი პოტენციალი სტაბილურად ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა ორიენტალისტიკისათვის, რასაც წარმოაჩენს პუბლიკაციებში, რომლებიც დაბეჭდილი აქვს რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შესულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (მათ შორის, ერიხ პლიუსში), ნაშრომები შესრულებულია მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სასპეციალიზაციო (არაბული და მისი სირიული დიალექტი) და ევროპული ენების (ინგლისური) ფლობის მაღალი დონით, მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას გამოკვეთილი აქვს საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, სირიულ დიალექტზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის გამოცდილება. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა ხათუნა თუმანიშვილის კანდიდატურას არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა“ კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი ხათუნა თუმანიშვილს არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) ასარჩევად.

ნინო დოლიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას)* კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ საკონკურსო ვაკანტური პოზიციის დაკავების განაცხადი კონკურსანტისთვის არის კარიერული წინსვლისა და პოზიციურად დაწინაურების მცდელობა – ის ამჟამად ასისტენტ პროფესორის სტატუსით ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას მიჰყავს სასემინარო მეცადინეობები შუა საუკუნისა და ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის ისტორიაში და სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობები

სასპეციალიზაციო არაბული ენის სხვადასხვა საფეხურზე არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამაში და აქვს ორი საავტორო სილაბუსი არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაში არაბული ლიტერატურის მიმართულებით (მათ შორის, ერთი ახალი, 2023 წლიდან), აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავადაც აქვს მათი წაკითხვის გამოცდილება სხვადასხვა ფორმატში. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში წინ წამოწევს „დაცემის ხანის“ (მე-13-მე-18 სს.) არაბული მწერლობის უფრო ღრმა ანალიზის საჭიროებას. აღნიშნული თემა მისი დიდი ხნის ინტერესია და ე.წ. „დაცემის ხანის“ ძეგლთა აქამდე უცნობი ნიმუშების კვლევას გეგმავს მაკამების სახით (რაც მისი სადოქტორო დისერტაციის - მაკამის ჟანრის ფუნდამენტური კვლევის გაგრძელება იქნება), XXI საუკუნის არაბული ლიტერატურის მიმართ ინტერესს კი უფრო სწავლების კუთხით ავლენს და უახლესი არაბული ლიტერატურის კულტუროლოგიურ /პოლიტიკურ კონტექსტში კვლევა / სწავლების საჭიროებაზე ამახვილებს ყურადღებას.

კონკურსანტს აქვს პუბლიკაციები რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შესულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (მათ შორის, ერიხ პლუსში), ნაშრომები შესრულებულია მეცნიერულ დონეზე, შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს კვლევითი თემატიკის გამრავალფეროვნებას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

უცხოეთის საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრებში გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მოკლევადიანი კვლევითი სტიპენდიების ფარგლებში კიოლნისა და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტებში ყოფნის გამოცდილებით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სასპეციალიზაციო (არაბული) და ევროპული ენების (ინგლისური, გერმანული) ფლობის მაღალი დონით კონკურსანტს შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

ამასთან, დამატებით განმარტებას საჭიროებს ის გარემოება, რომ საკონკურსო დოკუმენტაციაში კონკურსანტი მაღალი შეფასებებითაა შეფასებული მის მიერ უკვე განხორციელებული დარგობრივი აქტივობების მიხედვით, თუმცა კომისიის წევრთა აზრით, აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ როგორც ზემოთაც აღინიშნა, საკონკურსო ვაკანტური პოზიციის დაკავების განაცხადი კონკურსანტისთვის არის კარიერული წინსვლისა და პოზიციურად დაწინაურების მცდელობა – მას ამჟამად ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავია. კონკურსანტი მისი სასწავლო პროფილით (არაბული ლიტერატურა, როგორც შუა

საუკუნეების, ისე ახალი და უახლესი) არ არის არაბისტიკის კათედრის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში ერთადერთი შეუცვლელი კადრი (პროგრამების განხორციელებაში ჩართულია კიდევ ორი ლიტერატორი, მოქმედი აკადემიური პერსონალი), მაშინ, როცა თეორიული ლინგვისტიკის პროფილით, არაბული დიალექტოლოგიისა და არაბული ენის ორი მნიშვნელოვანი დიალექტის – ეგვიპტურისა და სირიულის – პროფილით არაბისტიკის კათედრის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები მათ სასწავლო გეგმებში შეტანილი სასწავლო კურსების განმახორციელებელი თითო აკადემიური პერსონალითაა წარმოდგენილი (ამჟამად ისინიც პრეტენდენტები არიან მიმდინარე კონკურსში) და ამ კურსების წაკითხვა არ შედის პრეტენდენტ ნინო დოლიძის პროფესიული კომპეტენციების სფეროში.

გასაუბრების ეტაპზე, სადაც კომისიას უნდა შეეფასებინა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის იმ სასწავლო კურსების გაძღოლის უნარი, რომელიც სწავლების ორივე საფეხურზე იკითხება არაბისტიკის პროგრამებში, ასევე პრეტენდენტის მოტივირებულობა და მზაობა, კარიერული პოზიციის ამაღლების შემთხვევაში, მეტი პასუხისმგებლობები აეღო საკუთარ თავზე და მეტი დატვირთვით ჩართულიყო არაბისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ პროგრამებში, კომისიის წევრებმა ეს მზაობა და მოტივირებულობა ვერ დაინახეს, პირიქით, კონკურსანტის განაცხადებებმა ცხადყო, რომ მას ეს პოზიციური დაწინაურება ერთგვარ „აკადემიური კომფორტის ზონაში“ შესასვლელად ესაჭიროება, სადაც ნაკლები საუნივერსიტეტო საათობრივი დატვირთვითა და მეტი ხელფასით შეძლებს თავისთვის საინტერესო სამეცნიერო და აკადემიური აქტივობების წარმართვას და თავის გამოთავისუფლებას დამატებითი საქმიანობებისაგან (კერძო მოსწავლეები); რაც შეეხება იმ სირთულეებს, რასაც სწავლების პროცესში სტუდენტებთან მუშაობისას აწყდება (სტუდენტთა მხრიდან ლიტერატურაზე მუშაობა სათანადო თეორიული ბაზისა და მომზადების გარეშე), ის გამოთქვამს მზაობას, თარგმნოს ეს თეორიები და გახადოს თავისი სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი, თუკი უნივერსიტეტი მას ამ თარგმანში დამატებით ანაზღაურებას გადაუხდის (იხ. ოქმი №3). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით,

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მიიღო გადაწყვეტილება, მხარი არ დაეჭირა ნინო დოლიძის კანდიდატურისთვის არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა“ კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაადგინეს, რომ ნინო დოლიძეს ამ ეტაპზე უარი ეთქვას არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) ასარჩევად.

მაია ანდრონიკაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას)* კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის ათწლეულებია, ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას აქვს თავისი გამოკვეთილი პროფილი: კითხულობს არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებისა და არაბული თეორიული გრამატიკის კურსებს (არაბისტიკის საბაკალავრო პროგრამაში კითხულობს არაბულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების დაწყებით კურსს და არაბული ისტორიული ტექსტებისა და წყაროების ენობრივი ანალიზის კურსს, ასევე არაბული თეორიული საენათმეცნიერო აზრისა და თანამედროვე ლინგვისტური კვლევებისა და კონცეფციების შედარებით-შეპირისპირებით კურსს არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაში; არის მონოგრაფიული ნაშრომისა და პროფილური სტატიების ავტორი; მისი ავტორობით (თანაავტორებთან ერთად) გამოცემულია არაბული ენის ძირითადი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო და მისი არაბულ-ქართული ლექსიკონი; არაბულ-ქართული სასაუბრო), აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი; კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც ფაკულტეტისა და აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არაბისტიკის კათედრის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი პოტენციალი სტაბილურად ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა ორიენტალისტიკისათვის, რასაც წარმოაჩენს პუბლიკაციებში, რომლებიც დაბეჭდილი აქვს რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება

ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; მისი ფუნდამენტური ლინგვისტური მომზადება და კვლევითი და სასწავლო გამოცდილება შეუცვლელია ახალგაზრდა თაობის მომზადებაში და ურთულესი ლინგვისტური პრობლემებით დაინტერესებაში.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, სასპეციალიზაციო (არაბული და მისი ერაყული დიალექტი) და ევროპული ენების (გერმანული, ინგლისური) ფლობის მაღალი დონით, სტაბილური სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას გამოკვეთილი აქვს საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, არაბი გრამატიკოსების თეორიულ გრამატიკულ ტექსტებზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს ღრმა საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის დიდი გამოცდილება; აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა მაია ანდრონიკაშვილის კანდიდატურას არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („გ“ კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი მაია ანდრონიკაშვილს არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („გ“ კატეგორია) ასარჩევად.

ნანა გელაშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას)* კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის დღიდან დაარსებისა, ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას აქვს თავისი გამოკვეთილი პროფილი: კითხულობს შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ორი დიდი ქვეყნის - ჩინეთისა და იაპონიის ისტორიისა და კულტურის კურსებს; არის იაპონისტიკისა და სინოლოგიის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი; არის მონოგრაფიული ნაშრომებისა და პროფილური სტატიების ავტორი; აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი; კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ენებისა და კულტურების შემსწავლელ საბაკალავრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, მონაწილეობს მსოფლიო ისტორიის ს/ს ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შორეული აღმოსავლეთის ისტორიის მოდულში; აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი პოტენციალი სტაბილურად ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა ორიენტალისტიკისათვის, რასაც წარმოაჩენს პუბლიკაციებში, რომლებიც დაბეჭდილი აქვს რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მონოგრაფიულ ნაშრომებსა და სახელმძღვანელოებში, ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

შესასწავლი ქვეყნების საელჩოების კულტურულ და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, ევროპული ენის (ინგლისური) ფლობის მაღალი დონით, სტაბილური სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას გამოკვეთილი აქვს საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, ჩინეთისა და იაპონიის ისტორიასა და კულტურაზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის დიდი გამოცდილება; აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა ნანა გელაშვილის კანდიდატურას აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (შორეული აღმოსავლეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა“ კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი ნანა გელაშვილს აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (შორეული აღმოსავლეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) ასარჩევად.

მირიან მახარაძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს კვლევითი პროფილის განვითარებას, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს თსუ–ის ეროვნულ და საერთაშორისო პოპულარობას)* მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში *(ხელს შეუწყობს ფაკულტეტის*

კვლევითი და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას; ხელს შეუწყობს თსუ–ის შემდგომ წინსვლას და განვითარებას) კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის წლებია, ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში – მას აქვს თავისი გამოკვეთილი პროფილი: კითხულობს ახლო აღმოსავლთისა და კონკრეტულად, თურქეთის ისტორიის კურსებს; არის ოსმაალეთის ისტორიისა და თურქეთის არქივებში დაცულ ოსმალურ ტექსტებსა და წყაროებში საქართველოს ისტორიის შესახებ მონაცემთა მკვლევარი; არის მონოგრაფიული ნაშრომებისა და პროფილური სტატიების ავტორი; აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი; კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტისა და მსოფლიო ისტორიის ს/ს ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, მონაწილეობს მსოფლიო ისტორიის ს/ს ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის მოდულში; აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში კვლევითი პოტენციალი სტაბილურად ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა ორიენტალისტიკისა და ქართველოლოგიისათვის, რასაც წარმოაჩენს პუბლიკაციებში, რომლებიც დაბეჭდილი აქვს სართაშორისო ბაზებში შესულ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მონოგრაფიულ ნაშრომებში, ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას.

სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტებში ჩართულობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, თურქული და ევროპული ენის (ინგლისური) ფლობის მაღალი დონით, სტაბილური სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ მოტივაციაში მას გამოკვეთილი აქვს საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, თურქეთისა და კონკრეტულად, ოსმალეთის ისტორიაზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით (დეტალურად იხ. ოქმი №2 და მისი დანართი „კონკურსანტის შეფასების ფორმა“).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს რეალური საგნობრივი ცოდნა და საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლის დიდი გამოცდილება; აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის გარანტია უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისა. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3).

გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის სხდომის დამსწრე ყველა წევრმა (11 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) მხარი დაუჭირა მირიან მახარაძის კანდიდატურას აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (თურქეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობის („ა“ კატეგორია) დასაკავებლად.

კომისიის წევრებმა კონკურსის ორივე ეტაპის შედეგებზე მსჯელობისა და შეჯამების შედეგად ლოგიკურად და დასაბუთებულად მიიჩნიეს კენჭისყრით დამდგარი შედეგი და ერთხმად დაუჭირეს მხარი მირიან მახარაძეს აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (თურქეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) ასარჩევად.

დაადგინეს: სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 06 აგვისტოს N173/01-01 ბრძანების საფუძველზე **აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ებრაისტიკა-არამეისტიკის, არაბისტიკის, აღმოსავლეთის ისტორიის კათედრების** (შორეული აღმოსავლეთის ისტორია; თურქეთის ისტორია) საკონკურსო ვაკანსიებზე ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების საფუძველზე გამარჯვებულებად გამოცხადდნენ:

ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 2 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“ კატეგორია) – მამუკა ბუცხრიკიძე (1 საკონკურსო თანამდებობა რჩება ვაკანტური).

არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 3 საკონკურსო თანამდებობაზე – მარიამ ნანობაშვილი, ნინო ეჯიბაძე, ხათუნა თუმანიშვილი.

არაბისტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („გ“კატეგორია) – მაია ანდრონიკაშვილი.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (შორეული აღმოსავლეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“კატეგორია) – ნანა გელაშვილი.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის (თურქეთის ისტორია) ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე („ა“კატეგორია) – მირიან მახარაძე.

კომისიის წევრების ხელმოწერა: **თარიღი: 09 ოქტომბერი, 2025.**

1. დარეჯან გარდავაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);

2. ნანი გელოვანი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

3. მზისა ბუსკივაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);

4. გიორგი ლობჟანიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

5. დალი ჩიტუნაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

6. ნინო სამსონია - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

7. ქეთევან ლორთქიფანიძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

8. ლეილა ბახტაძე - ფილოლოგიის დოქტორი;

9. გიორგი სორდია - საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

10. პაატა ჯაფარიძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

11. ზვიად ცხვედიანი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.